ხელშეკრულება №163
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო 19 ივლისი 2018 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გრიგოლ იოსელიანის სახით და მეორე მხრივ, ინდ. მეწარმე „ალექსანდრე ოდიკაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ალექსანდრე ოდიკაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 1 (ერთი) ცალი საოფისე სავარძლის სარესტავრაციო (შეკეთების) მომსახურეობის შესყიდვა.

2.2. კლასიფიკატორის კოდი: (CPV- 50850000).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2.ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების გაფორმების უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს მეოთხე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტს - კობა ჯიქიას.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ მისამართზე.

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 25 ივლისის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის ინიციატივით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის:: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 221274546

მუნიციპალიტეტის მერი
გრიგოლ იოსელიანი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე „ალექსანდრე ოდიკაძე“
მის: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას ქუჩა №10/16
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE68TB4694536010100023
ს/კოდი: 60001031008

ინდ. მეწარმე
ალექსანდრე ოდიკაძე

ბ.ა.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელმომწერი პირ(ებ)ი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ინდ. მეწარმე „ალექსანდრე ოდიკაძე“-ს შორის 2018 წლის 19 ივლისს გაფორმებული №162 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

უფლებამოსილი პირი: _____ კობა ჯიქია